ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4202275

ნომერი: AR1632551

თარიღი : 25.09.2018

გაცემის თარიღი : 04.10.2018

გაცნობის თარიღი : 04.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 49ბ , (ნაკვ. 8/6);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელგუჯა მხეიძე პ/ნ 60001011848
- ქუთაისი ს.გუგუნავას ქ. 15 N 3 ბ. 110

ორგანიზაცია:

- შპს "ალიანსი თბილისი" კოდი: 405144703

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 25 სექტემბერს №AR1632551 განცხადებით მომართეს ელგუჯა მხეიძემ და დავით ჭოხონელიძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისი, სექტორი ვაკე, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N49ბ, (ნაკვ. 8/6), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.07.008.123), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული და სასტუმრო) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 22 აგვისტოდან 2021 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი: 26892.58 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 26897.58 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 7748.13 კვ.მ.-ის ნაცვლად 8745.66 კვ.მ. დამხმარე ფართობი: 7167.7 კვ.მ-ის ნაცვლად 6179.86 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 15637.58 კვ.მ-ის ნაცვლად 15683.28 კვ.მ. შესაბამისად, საერთო ფართობი - 70937.02 კვ.მ-ის ნაცვლად - 70997.41 კვ.მ. განმცხადებლების მიერ ასევე წარმოდგენილია შესწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, ასევე წარმოდგენილი შესწორებული გეგმები შესაბამისობაშია სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი: 26897.58 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 8745.66 კვ.მ. დამხმარე ფართობი: 6179.86 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 15683.28 კვ.მ. საერთო ფართობი: 70997.41 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 აგვისტოს №4129758 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.